ზოგადი წესები და პირობები ფორმა

1. აპლიკანტი პასუხისმგებელია საპილოტე პროექტის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებაზე, მშენებლობაზე, ექსპლუატაციაზე და შენარჩუნებაზე ამ განცხადებების კონკურსისა და განხორციელების ხელშეკრულების მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც შემდგომ უნდა გაფორმდეს მხარეებს შორის.
2. აპლიკანტი ვალდებულია სამშენებლო/სამონტაჟო სამუშაოები განახორციელოს წარმოდგენილი ინსტრუქციების, საქართველოში არსებული ყველა მოქმედ სტანდარტის, ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნების, გარემოსდაცვით და ყველა სხვა შესაბამის წესისა და რეგულაციის შესაბამისად.
3. აპლიკანტმა არ უნდა დაიწყოს ან/და განახორციელოს საქონლის/მომსახურების შესყიდვა პროგრამასთან შეთანხმებისა და თანხმობის გარეშე. შეზღუდვები შეიძლება მოქმედებდეს საჭირო საქონლისა და მომსახურებისთვის წარმოშობის ქვეყანაზე, რაც აპლიკანტს ეცნობება პროცესების მიმდინარეობის დროს.
4. აპლიკანტი პასუხისმგებელია ყველა საჭირო უფლების, ნებართვის, ლიცენზიის, თანხმობისა თუ ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე საჭირო დოკუმენტაციის მიღებაზე შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისა და/ან კერძო კომპანიებისგან.
5. პროექტის ქსელთან მიერთების შემთხვევაში, აპლიკანტი ვალდებულია კოორდინირებულად იმუშაოს განაწილების სისტემის ოპერატორთან, ელექტროენერგიის გამანაწილებელ კომპანიასთან, რათა პროექტის ქსელთან მიერთებისთვის საჭირო ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილებული იყოს.
6. პროექტის განხორციელების დასრულების შემდგომ, აპლიკანტმა უნდა წარუდგინოს პროგრამას ყველა საბოლო დოკუმენტი, აქტი ან სხვა მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციას. (ასლები მისაღებია)